№ 235

1877—1901

# ივერია

№ 235

კვირა, 28 ოქტომბერი, 1901 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩაზე,
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნადვორნი სოვეტნიკი დოროთეოზ სიმონის ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათის შვილის

## ალექსანდრე დოროთეოზის ძის წინამძღვრიშვილისას

და სთხოვენ ბობრძანდნენ ღვინობისთვის 28, დილის ათ საათზედ, გამოსვენებაზედ საფოსტო კანტორის შენობიდგან დაბა ცხინვალს. (2—უ.—2

**მ კ უ რ ნ ა ლ ი**

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოლოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

**ეწად-მომქმედთა კრების** სხდომა მოხდება 25, 26 და 27 ამა ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ადგილში. (3—228—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(...კიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. ...დასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ...აპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## კბილის ექიმი

ალ. ვ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9 საათიდგან 2-დე და საღამოთი 5—7-დე.
კვირა-უქმობით 1 საათამდე.
მიხეილის ქუჩა, № 32.
(5—უ.—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ს. ზ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**ზ. ზ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. ზ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ს. ა. ვოინო**—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური საზოგადო კრებაა დანიშნული, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლის მოქმედებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ, 3) სავარაუდო აღრიცხვა 1901 წლის შემოსავალ-გასავლისა, 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრებისა, 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა, 6) არჩევანი საზოგადოების თავჯდომარისა და გამგეობის წევრებისა.

რადგანაც აღნიშნული წლიური კრება ჯერ ისევ გაზაფხულზედ უნდა მომხდარიყო და ველარ მოასწრეს, დაგვიანდა, ამისათვის, იმედია, საზოგადოების წევრნი მეტს დაგვიანებას ანგარიშის განხილვისასა და არჩევნებისას ამაზედ მეტად აღარ ისურვებენ, საჭირო რიცხვი წევრებისა გამოცხადდება და პირველივე კრება უთუოდ შესდგება.

*** დღეს, საღამოს 7 საათზედ, საქონლის მოვლა-მოშენებისა და სარძეო მეურნეობის შესახებ კრებაა დანიშნული, რომელზედაც წაი-

## ფელეტონი

—

**ჩვენი ცხოვრება და მწერლობა *).**

(სოფლის მღვდლების და მასწავლებლების საყურადღებოდ)

(დასასრული).

ამ არა სასიამოვნო მოსაზრებითა ვარ დღეს შეპყრობილი, ვფიქრობ, რა ეშველება-მეთქი რაჭას, ან ქუთაისის სხვა მცხოვრებლებს, რომლებიც მთლად უმიწა-წყლოდ არიან დღეს დატოვებულნი, რად არ გადასახლდებიან საქართველოსავე სხვა რომელსამე კუთხეში, თუ-კი უცხოელები ახერხებენ გადმოსახლებასა, და ვერა მომიფიქრნია-რა, რადგანაც თვითონ ხალხს ამისი სურვილი არა აქვს თითქოს. ამ ფიქრში ვარ და „კლდიას“ „ცხოვრების გამოძახილი“ (იხ. „ივერია“ № 188) ჩემს მწუხარე აზრს უფრო აორკეცებს.

განა საწყენია მირზოევისა ან მისთანათა საქციელი, რომ თავისს ერისათვის ჰზრუნავენ? პირიქით, ეს გარემოება ჩვენი წამაქეზებელი და გამაღვიძებელი უნდა იყვეს. ვისაც თავისი უყვარს, იმას უთუოდ სხვაც შეუყვარდება, რადგან თავის სიყვარული ამისი თავდებია. აქ ნამდვილად ის არის სამწუხარო, რომ ქართველი მემამულე თვისის ერის რაღაც გაუგებარი მოსისხლე მტერია.

განა შესაძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რომ მირზოევს, არამიანცს ქართველი სძულდეს და წერეთლებს, ბარათაშვილებსა და სხვა ჩვენს მემამულეებს-კი უფრო უყვარდეს, როდესაც ესენი არც თავისს მომავალისათვის ჰფიქრობენ და არც თავისს ერისათვის?... რითი უნდათ დაგვიმტკიცონ ჩვენმა წარჩინებულმა თავადიშვილებმა, რომ მათ თავისი ხალხი უყვართ, თუ მხოლოდ იმასა ცდილობენ, მამა-პაპისა და ერის სისხლით მორწყული მიწა-წყალი მალე როგორ მიჰყიდონ უცხოელსა და ორი-სამის წლის შემდეგ-კი ისევ ხალხს დააწვენენ ბარგად, მაშინ როდესაც დღეს თუ ხვალ მეზობელიც შესძლებდა სყიდვას ან-და თავისიანი ჩაესახლებოდა იმავე პირობებით, რომლებითაც მირზოევი ასახლებს შეძენილს მამულზედ ერევნიდან გადმოსულს სომხებსა... ამ გვარი პირობებით არ იყო, რომ რაჭველები სხვის მამულზედ დასახლდნენ თერგის ოლქში? სამწუხარო აქ ის არის, რომ რაღაც ბედის დაცინვით მიწისმფლობელი ის გამხდარა ჩვენში, რომელსაც მიწა-წყლის სიყვარული სრულებით არა ჰქონებია, ბევრად ბედოვლათი ყოფილა, ვიდრე მშრომელი, და ნამდვილი მიწის შვილი-კი ღვთის ანაბარად დარჩენილა. ამ ვაჟბატონებს არც თავისი ერი უყვართ და არც თავისი თავი. მხოლოდ სიტყვით აცხადებენ თავისს გულ-კეთილობასა და ერის სიყვარულს, საქმით-კი ისე იქცევიან, რომ დღეს თუ ხვალ სხვისი მოსავლელი, საპატრონო თვითონ გახდებიან, და ნურც ეძებთ მათში მირზოევისებურს სანაქებოსა და სადიდებელს ეროვნულს თვით-შეგნებას, ეროვნულს თვით-ცნობიერებას. ეს ვაჟბატონები ბოდბელის მცნებით აღჭურვილან და ურცხვად გაიძახიან: ოღონდ მე ვიყო, განცხრომას თავი მივცე და ჩემს უკან თუნდაც ქვა ქვაზედაც ნუ დარჩებაო!..

მაშინ როდესაც ჩვენს დაბალს ხალხს სრულიად არა აქვს შეგნებული ეროვნული თვით ცნობიერება, მისის აზრით, ყველა ქრისტიანია, გინდ სომეხი იყოს, გინდ რუსი, გინდ ინგლისელი; როდესაც ამ გვარს შეხედულობას ზანს აძლევს თვისის მოქმედებით მაღალი წოდებაც და სხვა მეზობელი ერები-კი სულ სხვა შეხედულობისანი არიან, დროა და საჭიროც, ვგონებ, გონს მოვიდეთ, ჩვენს მდგომარეობას ჩავუფიქრდეთ, რაც გვაბადია, ის მაინც არ დავკარგოთ... თორემ გვიან-ღა იქნება! საკვირველია სწორედ! წარსულს ჩვენთვის სხვა და-სხვა დროს სხვა-და-სხვა სოციალური მცნება უანდერძებია, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს შინაურებთან, როგორი უცხოელებთან, მაგრამ ამ ძვირფასს გაკვეთილს ვერ ვიყენებთ, უქმი ხდება. დაგვვიწყებია ის საყოველთაო მცნება, რომ თავისიანობა გვახსოვდეს და სახალხო თქმულობა: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, სრულიად უქმია, ცხოვრებაში ვერსად ვიყენებთ; მეორე არა ნაკლებად მავნე თვისება ჩვენის ხასიათისა ის არის, რომ ყოველივე უცხო უაღრესად საპატიოდ და ყურადღების ღირსად მიგვაჩნია, ჩვენი-კი არც ჩირად. ამ შეხედულობის წყალობით ქართველი უცხოელს, აკაკისა არ იყოს, ერთობ დიდის პატივით ექცევა და ეს გარემოებაა მიზეზი, რომ დღევანდელნი წარჩინებულნი ჩვენს თვალში თითქმის ყველანი უცხოელნი არიან.

ეს გარემოება-კი, რამდენადაც ქართველთა ცხოვრებაშია თვალსაჩინოდ მიღებული, იმდენად სხვა ერებში უარყოფილია. ბერძნებს უცხოელები არ სწამდათ, ბარბაროსების სახელით ჰყავდათ მონათლულნი; ინგლისელებსაც არა სწამთ უცხოელნი. ამ გვარადვე ექცევიან უცხოელებს თითქმის ყველა ევროპის თანამედროვე ერები.

მაშინ როდესაც ყოველი ერი ეჭვის თვალით უყურებს უცხოს, ქართველი ძველადაცა და დღესაც უცხოელს თავისსაზედ მეტის პატივით, მეტის ნდობით ეპყრობა, ხშირად თავისას აწყენინებს იქ, სადაც მისივე სარგებლობა მოითხოვს თავისი დაიცვას... მართალია, ეს თვისება ურიგო თვისება არ არის, თუ ზომიერად იქმნება სხვა საზოგადოებრივ თვისებებთან შესისხლხორცებული; პირიქით, დიდებული ერი მხოლოდ ისაა, რომელიც მაღალ კულტურასთან ერთად შეითვისებს იმ შეხედულობასაც, რომ ყოველი ერი ყურადღებისა და პატივის ღირსია, მაგრამ როდესაც ეს თვისება მხოლოდ ერთ მხრივად განვითარდება, როგორც ეს ჩვენ გვემართება, და სხვა სულიერი თვისებანი-კი მიძინებულნი არიან, მაშინ იგი მხოლოდ ეროვ-

*) იხ. „ივერია“ №№ 233.

კითხავენ შემდეგ მოხსენებათ: ა. ქალანთარისას—სარძეო მეურნეობის შესახებ გამოფენაზედ; 2 ცხენების მოშენების შესახებ; 3) ღორების მოშენების შესახებ—ნ. ა. კანცელმახერისასა და სხ.

⁂ როგორც გვატყობინებენ, პეტროვსკ-ბალაჯარას შუა რკინის ლიანდაგზედ, ბელეჯის სადგურის მახლობლად, მატარებელი-ექსპრესსი ლიანდაგიდგან გადავარდნილა და მთლად დამტვრეულა. გადარჩენილა მხოლოდ ვაგონი, რომელშიაც ბუფეტი ყოფილა მოთავსებული.

⁂ 26 ოქტომბერს ბაქოდგან პეტერბურგს წავიდა უმთავრესი ინსპექტორი რკინის გზებისა ტაინი სოვეტნიკი გორჩაკოვი.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, სპარსეთის შაჰის ორნი ძმანი ამ თვის გასულს საზღვარგარეთ აპირებენ თურმე წასვლასა და გზად კავკასიაზედ გამოივლიან.

⁂ ყველა ჯარის-კაცებს, რომლებიც ყარსის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურებისა გამო არიან ახლა შაგალის სადგურზედ დარჩენილნი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისაგან დღეში ხუთ-ხუთი შაური თურმე მიეცემათ.

⁂ ბაქოდგან იუწყებიან, რომ 25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, მატარებელმა № 509 სარატოვის მცხოვრებს ფ. ა. ნესტოროვს ორივე ფეხი წააწყვიტაო.

⁂ როგორც ხურვალეთიდგან ატყობინებენ „Т. Л.“-ს, აზნ. გიორგი დავ. მაღალაშვილს 19 ოქტომბერს თავისსავე სოფლის გლეხი თენო საშიაშვილი ჩხუბის დროს თავსა და მარცხენა თეძოში დაუჭრია ხანჯლით.

⁂ როგორც სუფსის სადგურიდგან იწერებიან, 26 ოქტომბერს სამხედრო მატარებლის № 22 ვაგონი № 333386 ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხნიათ და მოუპარავთ ორი შეკვრა ბარგი, სულ 7 ფუთი და 27 გირ., რომელშიაც მომეტებულ ნაწილად საოჯახო ნივთები ყოფილა. ქურდებს ჟანდარმები დაეძებენ; ზოგიერთი მოპარული ნივთი რკინის გზის ლიანდაგზედ იპოვნესო.

⁂ 1902 წელს სექტემბერში განზრახვა აქვთ ხარკოვში სრულიად რუსეთის საქონლის მომშენებელთა კრება მოახდინონ.

⁂ მიწის-მოქმედთა გუშინ-წინდელს სხდომაზედ კრებამ განიხილა ბ-ნის ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენება იმის შესახებ, რომ ხალხში სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად ყველა მაზრებსა და გუბერნიებში საცდელი მინდვრები იქმნეს გამართული. კრებამ ხმის უმეტესობით სურვილი გამოსთქვა ამ გვარ დაწესებულებათა გავრცელების საჭიროებისა.

⁂ პოლიციის მესამე ნაწილში, 25 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს სარქის გეორქოვის სახლი გაუტეხია და 142 მან. ღირებული ხალიჩები და სხვა ნივთები გაუტანია.

⁂ პარასკევს, 26 ოქტომბერს, კავკასიის მეღვინე-მევენახეთა კრებამ დაამთავრა თაიროვის მიერ შედგენილ პროექტის განხილვა და ზოგიერთა ცვლილებით მიიღო კიდეც. პროექტი დასამტკიცებლად უმაღლესს მთავრობას უნდა წარუდგინოს. კრებამ მოისმინა აგრეთვე ყველა თვისის სხდომების ოქმები და მიიღო შეუცვლელად. დასასრულ, ბ-ნ სტაროსელსკის წინადადებით გადასწყვიტა კრებამ სთხოვონ კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში განძრახულს სრულიად რუსეთის მეღვინე-მევენახეთა კრებაზედ წარმომადგენლად ამოირჩიონ ვინმე და გაგზავნონ.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თავისს უკანასკნელს სხდომაზედ გარდასწყვიტა ქალაქის საყასბოზედ ნაყარ ხორცის დასაწვავ ღუმელების შესაკეთებლად 400 მანეთი გადასდოს; ხოლო მომავალ წლიდგან ამავე აზრით ყოველ წლობით 500 მან. იქმნეს ხოლმე გადადებული.

⁂ ალიათიდგან იუწყებიან: 22 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, გზის დარაჯს ნესტეროვს მე-687 ვერსზედ უცბად თოფი გაუვარდა და საფანტით მძიმედ დაიჭრა დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნესო.

---

## ქალაქისა და სოფლის მასწავლებლები, მათი სამსახური და ნივთიერი მდგომარეობა საზოგადოდ და კერძოდ ჩვენში.

ვინ არ იცის, რომ მასწავლებლობა საზოგადოდ ყველა სხვა სამსახურზედ მეტად მნიშვნელოვანი და კეთილშობილურია, ყველასგან მეტად დასაფასებელი და პატივსაცემი, დედაბოძი და ქვა-კუთხედი სწავლა-განათლების გავრცელებისა; მაგრამ ამასთანვე მეტად მძიმე და პასუხის საგებელი ადამიანობის მოვალეობისა, მშობლებისა, საზოგადოებისა და თვით მოსწავლე თაობის წინაშე. ვნახოთ ახლა, თუ რამდენად დაფასებულია მასწავლებლების შრომა: ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთის მაღალ და მძიმე სამსახურის მტვირთველნი მუშაკნი მეტად დაბეჩავებულნი და დაქვეითებულნი არიან „ნივთიერად“, შრომა მეათედზედ არ უფასდებათ, ხშირად სულიერადაც ობლობას ჰგრძნობენ, დამფრთხალნი არიან თითქოს, რის მაგალითებსაც ჟურნალ-გაზეთები ხშირად გვაუწყებენ. ამას წინედ „Новое Время“-ში მეტად შემაძრწუნებელი ამბავი ამოვიკითხეთ: ერთის ბეჯითი მასწავლებელ-ქალის გაჭირვებულს ნივთიერს მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციეს, შიმშილს, შრომას და მოთმინებას ვეღარ გაუძლო და საცოდავი უდროოდ გარდაიცვალაო. ამავე გაზეთში ამოვიკითხეთ: სოფელ კორენიხაში—ოდესის მაზრაში, ერთის სოფლის მასწავლებელი თავისს ცოლშვილით სკოლასთან აგებულს სახლში სცხოვრობს, რომელიც ძაღლის სოროს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს ბინას; მასწავლებელს თურმე ხმის ამოღებისა ეშინიან, ვაი თუ ცუდი შედეგი მოჰყვესო, და წვრილი ცოლშვილით იმ ძაღლის სოროში იტანჯება შიმშილითა, სიცივითა და მოთმინებითაო... და ნუ-თუ ეს უბედურება არ არის, მშრომელი ადამიანი ცოცხლად იტანჯებოდეს, შიმშილსა და უკიდურესს გაჭირვებას ითმენდეს და გამხელასაც კი ვერა ჰბედავდეს! ნუთუ-და სიცოცხლეა ასეთი სიცოცხლე ადამიანისა?! იგივე გაზეთი ამბობს: ერთმა მასწავლებელმა ასტრახანის გუბერნიაში მთელი თავისი ჯანი და სიცოცხლე მასწავლებლობას შეალია და როდესაც დავარდა და დაუძლურდა, პენსიათ სამი მანეთი დაუნიშნესო!

აქედგან ნათლად სჩანს, რომ მასწავლებლისა არც აწმყოა უზრუნველ ყოფილი და არც მომავალი. სანამდის იმსახურებს, შიმშილით უნდა გაატაროს თავისი მძიმე სამსახური და როდესაც დასნეულდება და დავარდება, მაშინაც-კი შიმშილით სიკვდილი უწერია...

ამნაირად, ვინც სამასწავლებლო ასპარეზს ირჩევს, თავიდგანვე უნდა კარგად იცოდეს, რომ დაუღალავი შრომა, ტანჯვა-წვალება, მოთმინება, მოუსვენრობა, ათასი პასუხის გება, მუდამ ეკლიანს გზაზედ სიარული და ხან-და-ხან დევნა, შური და მტრობაც-კი, მასთან სიცივე, შიმშილი და წყურვილი კისრადა აქვს ნადები და ყოველივე ეს არამც თუ მარტოდ თვითონ, ცოლ-შვილმაც მოთმინებით უნდა აიტანონ.

შევადაროთ ახლა ქალაქის საშუალო, თუნდ დაბალი სასწავლებლების მასწავლებლებისა და სოფლის სკოლების მასწავლებლების შრომა და ნივთიერი მდგომარეობა ერთი მეორეს. სიმართლე რომ ვსთქვათ, მართალია, არც ქალაქის მასწავლებლების მდგომარეობაა სანეტარო და იმდენად უზრუნველ-ყოფილი, რამდენადაც საჭიროა, მაგრამ, სოფლის მასწავლებლების მდგომარეობასთან შედარებით, იგინი სამსახურის დროსაც და სამსახურის შემდეგაც გაცილებით უზრუნველ-ყოფილნი არიან. ქალაქის მასწავლებელს ჯამაგირი აქვს, რომელსაც თავისს დროზედ და გემოზედ იღებს, სოფლის მასწავლებელს-კი, მართალია, ზოგან ჯამაგირი აქვს, მაგრამ მეტად მცირე და იმასაც ისე უგემურად, უდროვოდა და ტანჯვა-წვალებით იღებს, რომ მადლი აღარ აქვს. ქალაქის მასწავლებელი სამსახურის შესრულების შემდეგაც, ცოტაითი თუ ბევრად, უზრუნველ ყოფილია პენსიით და ზოგჯერ შვილების აღზრდითაც,—სოფლის მასწავლებელი-კი არაოდეს არარის უზრუნველ-ყოფილი და სამსახურის შემდეგაც მთლად უნუგეშოდა რჩება, რადგანაც არც პენსია ეძლევა და არც შვილები ეზრდება... რა ჰქმნას ასეთს შემთხვევაში მოხუცებულმა და თან დასნეულებულმა, უზომო შრომით დაქანცულმა მასწავლებელმა?!... სწორედ რომ კალმით აუწერელი და ენით გამოუთქმელია მისი ასეთი მომავალი.

ქალაქის მასწავლებელი ქალაქის განათლებულს საზოგადოებაში სცხოვრობს, სადაც შეუძლიან თვალყური ადევნოს ჟურნალ-გაზეთებს, იკითხოს წიგნები, თავისი სწავლა და ცოდნა გააფართოვოს, თან ჭკუა-გონება ავარჯიშოს, იცხოვროს სუფთად და შეძლებისა-და-გვარად თავისი შვილებიც უსწავლელი არ დასტოვოს; სოფლის მასწავლებელი-კი ყველა ამ ბედნიერებას მოკლებულია: მსახურობს სადღაც მიყრუებულსა და ბნელით მოცულს სოფელში, სადაც ძაღლის ყეფისა და მამლის ყივილის მეტს ვერას გაიგონებს; ჟურნალ-გაზეთები მას არა აქვს, არც იმდენი სასარგებლო წი-

---

ნების განვითარების დამაბრკოლებელი ძალადა ხდება, მავნებელია.

ამ გვარად, ეროვნული თვით ცნობიერება ჩვენში ჯერ-ჯერობით ძლიერ დაბლა სდგას. ვიდრე ჩვენის ერის ორი უმთავრესი წოდება —ხალხი და ჯერ-ჯერობით მამულის პატრონი თავად-აზნაურობა *) ერთი მეორეს არ შეითვისებენ, ერთს მეორე ეუცხოება, საზოგადოებრივი ცხოვრება იმ დრომდის ჯერ კიდევ ვერ გამოკეთდება; თუ ჩვენებური მემამულე ყოველ-გვარი შეღავათით არ დაუთმობს მამულს თავისსავე მუშა ხალხს, ისევ უცხოელს მიჰყიდის და სამუდამოდ მოუსპობს თავისს მეზობელს მამულის შეძენის საშუალებას, გარწმუნებთ, ჩვენს ცხოვრებას მხოლოდ უარესობა დაეტყობა და არა უკეთესობა. ამ ორის წოდებისაგან ერთი მეორეს გაუგებრობა ისე თვალსაჩინოა ჩვენში, რომ ჟურნალ-გაზეთობას ესაც ეყოფა სალაპარაკოდ. ამასთანავე ჟურნალ-გაზეთები ორივეს საინტერესოდ გაუხდებოდა და შეიძლება უფრო გავრცელდნენ ხალხში. როდესაც ჩვენში ამ გვარად მიდის საქმე, მწერლობა ჩხირ-კედელაობს და ცხოვრებას და მის გულშემზარავს გამოძახილს გვერდს უქცევს, ზოგი ჩვენი ვაჟბატონი ორიოდე მეცნიერის გადაკითხვით ბრძნად გადაქცეულა და საქვეყნოდ ჰქადაგებენ,—ვინ სთქვა, რომ ეროვნული ბრძოლააო, ამას ხომ დარვინიც უარ-ჰყოფსო და სხ., მის მაგივრად რომ ხალხს განუმარტონ უფრო ადვილად მისაწვდენი და სასარგებლო ცოდნა, საზოგადოებას განზრახ, ან შეუგნებლად თვალს უხვევენ, მერმე როგორს საზოგადოებას? იმ გვარს საზოგადოებას, რომელიც თავისთავად კოსმოპოლიტია, —ქართველი ხალხის თვალში ყველა ქრისტიანე ძმა და მეგობარია, რომელსაც თავისის გვარ ადამიანის დაჩაგვრა და მოტყუება არ შეუძლიან.

ვინ არ იცის, რომ კაცობრიობის და თვით ქრისტიანობის ულრმესი იდეალი კაცთაშორის სიყვარულია, განურჩევლად ეროვნებისა, მაგრამ ამ იდეალამდის, თვით უმაღლესის კულტურის ძლევა-მოსილნი სახელმწიფონიც-კი ვერ მისულან, პირ-იქით უძლურის გაჟლეტის სურვილი წყურვილად გარდაჰქცევიათ.. ამბობენ, ეროვნული ბრძოლა არ არისო, როდესაც საქმე სულ წინააღმდეგის მაჩვენებელია; მართალია, ეს სრულებით არ უარჰყოფს კლასსურ ბრძოლას ჩვენში და სხვაგან: ერთი ერი ხშირად მეორის უბედურებაზედ აშენებს თვისს ბედნიერებას. ამისი მაჩვენებელი ფაქტები დღევანდელს კულტურულს ცხოვრებაში უფრო მეტია, ვიდრე წარსულში, რადგანაც დღევანდელის ბრძოლის იარაღი უფრო რთული და სულ-შემხუთავია, ვიდრე უწინ. მაგრამ ამაზედ სჯა-ბაასი მწიგნობრებისათვის მიგვინდვია. ოღონდ ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ მწიგნობრებისა ძლიერ ცოტა რამ ესმის ხალხს, მათი ხმა ხალხის გულის თქმა და გამოძახილი არ არის და ვერც თუ გაიგებს გულუბრყვილო ხალხი მათს დახლართულსა და გაუგებარს მცნებას. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი მწერლობა ისევ მისსავე ქურუმების სავარჯიშო საგნად შეიქმნა და მწერლობა-კი ხომ მაშინ არის ნამდვილი სული ხალხისა, როდესაც მასში ცხოვრების ვარამი და გამოძახილი ცხადად იხატება. თუ მწერლობა ერთნაირად არ მოიპოვებს საკმარისს მკითხველს მაღალსა და დაბალს წრეში, თუ ორივესათვის საჭირ-ბოროტო კითხვების გარდამწყვეტი არ შეიქმნება თეორიულად და ხან პრაქტიკულადაც, მაშინ, დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი მწერლობა თვითონვე მოჰსპობს თვისს კვალს, რადგანაც ყანა, რომელიც უნდა იქმნას მწერლობისაგან შექმნილი და განმშვენებული, მწერლობისაგანვე უყურადღებოდ დამრჩება, თან-და თან ყანას ღვარძლი მოერევა და ჩვენი ხელოვნური და უნიადაგო მწერლობა სამუდამოდ განისვენებს.. ჩვენში სრულიად შეუძლებელია, მაგალითად, განაწილება შრომისა, რომელიც განათლებულ ერთა თვისებას შეადგენს, რადგანაც ჯერ არ დაბადებულა ჩვენში საზოგადოება რთულისა და მრავალ-მხრივის მოთხოვნილებითა და მისწრაფებით. ჩვენში აზრის გამომთქმელიც და მისი განმახორციელებელიც ორივე მწერლობა უნდა იყვეს, რადგანაც მთქმელს ჯერ-ჯერობით კარგი გამგონი არ ჰყავს და ხშირად, საუბედუროდ, კარგის მთქმელიც ხომ აღარა გვყავს, თუ ხალხი და მწერლობა ერთს სულს არ შეადგენს, ერთი საზოგადო სასარგებლო ინტერესით არ არიან ორივენი აღჭურვილნი, მაშინ მწერლობის მდგომარეობა ბევრად უფრო სახიფათო და შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მეტი ძალა და ღონე, მეტი გარჯა მწერლობას ესაჭიროება, რომ ხალხის გული მოიგოს და მის სატრფიალოდ გახდეს. მწერლობამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როდესაც ხალხი არ მოსწყვეტია საშობლოს, უმიწა-წყლოდ, ბოგანს ხალხად არ გამხდარა. ამ გარემოებაშია მხოლოდ შესაძლებელი ენის შერჩენაც. შეუძლებელია უცბად ფლამარიონის ჰაეროვან ქმნილებათ გადავიქცეთ, მარსზედ გადავსახლდეთ და ჩვენი ხმა-ტკბილი მწერლობაც იქ მივიწვიოთ. თუ მწერლობას უნდა, მალე არ გაჰქრეს მისი ხსენება და მისი შრომა, უნაყოფოდ არ დარჩეს, კინკლაობასა და წვრილმანობას თავი უნდა დაანებოს, უნდა მოჰკიდოს ხელი იმისთანა საგნებს, რომლებიც დღეს საჭირ-ბოროტონი არიან. ერთად-ერთი ამ კითხვათაგანია ჯერ-ჯე-

*) ჩვენში მხოლოდ ამ ორს წოდებაზეა შესაძლო ლაპარაკი, ბურჟუაზია ჩვენში ჯერ-ჯერობით გონების ფიქციაა.

…გნი, რომ გონება ივარჯიშოს და კიდეც რომ შეიძლოს გამოწერა, უნდა გამოიწეროს ერთი ჟურნალი, ან გაზეთი და იმასაც ვერ მიიღებს დროზედ, რადგანაც სოფლებში პირდაპირი ფოსტა არ არის და ხშირად ისევ გზებში ეკარგებათ. წიგნთსაცავ-სამკითხველოები ხომ სოფლებში იშვიათია და თუ არის, ისიც ღარიბი და უქონელი ჟურნალ-გაზეთებისა. რითი უნდა განვითარდეს მაშ, სოფლის მასწავლებელი? უნდა ნაყოს და ღეჭოს ერთი და იგივე სასწავლო მასალა უსუსურ და ყრუ ბავშვებთან ერთადა და თუ მარჯვეთ არ იქნა, განვითარების მაგივრად დაჰკარგოს ენერგია, გონების სიფხიზლე, დაავიწყდეს ისიც, რაც სიყმაწვილეში ვაი-ვაგლახით შეუსწავლია და შეუძენია, დაჩლუნგდეს ჭკუა-გონებით და ყოველისფრით უკან ჩამოჰრჩეს წინ სწრაფად მიმავალს ცხოვრებას.

ყოველს ამ ცუდსა და აუწერელს მდგომარეობას სოფლის მასწავლებლისას ისიც უნდა დავსძინოთ ახლა, რომ მეტად ბევრი შრომა აქვს სამსახურში, ვინემ ქალაქის მასწავლებელს. სოფლის მასწავლებელმა უნდა ასწავლოს სოფელში ანბანის უცოდინარსა და სრულიად გაუწვრთნელსა და გაუთლელს ბრიყვს ბავშვებს რომელთაც არასფერი არა გაეგებათ-რა, მარჯვენა ხელს მარცხენისაგან ვერ გაარჩევენ, თავიანთი სახელი და გვარიც-კი არ იციან ხეირიანად. ქალაქის მასწავლებლები-კი სოფლის მასწავლებლებისგან გათლილს, გაწვრთნილსა და წერა-კითხვის უკვე მცოდნე ყმაწვილებს იღებენ და მასთან ამორჩევით ისე კარგად დამზადებულებსა და ნიჭიერებს, რომელნიც გამოცდას წარჩინებულად გარდიხდიან... მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ქალაქის ოჯახებში დაბადებული დ აღზრდილი ბავშები ნიჭს მალე იჩენენ, სწავლა-განათლებას ადვილად ითვისებენ, რადგანაც ბევრს სასყაროს პატარობიდგანვე თვალით ჰხედავენ, ეჩვევიან; სოფლის მასწავლებლებს-კი ამ მხრივ სრულიად ეკლით აქვთ გზა მოფენილი.

დღეს ახალის რეფორმების შემოღების შესახებ ერთობ ბევრსა სწერენ უმაღლესსა და საშუალო სასწავლებლებზედ, მაგრამ სოფლის პირველ-დასაწყისს სკოლებზედ-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ბევრი არა თქმულა-რა სანუგეშო და ადვილად შეიძლება არც არასფერი ითქვას, თუმცა არა ნაკლებ დასახელებულ სასწავლებლებისა დაბალი სკოლები და სოფლის მასწავლებლები ჰღაღადებენ ამ ცვლილებისათვის... მართალია, თუნდაც ილაპარაკონ, აგრე მალე არავინ მოესწრება შეღავათს, მაგრამ იმედიან შიმშილს კიდევ მოითმენს ადამიანი... ამისათვის ურიგო არ იქნება თვით მასწავლებლებმა გამონახონ რაიმე საშუალება და წყარო, დააარსონ დამხმარებელი „კასსები", შეადგინონ საერთო ფონდი ერთად სამრევლო და სამინისტრო სკოლების მასწავლებლებმა, რადგანაც თითქმის ერთს ტაფაში იწვიან ორისავე ტიპის სკოლის მუშაკნი, და ისევ თვითონ იზრუნონ შავის დღისათვის, თუ ჰსურთ შემდეგში შიმშილით სიკვდილის მსხვერპლი არ შეიქნენ, თორემ სოფლის მასწავლებლებისათვის გულშემატკივარნი დ მზრუნველნი ცოტანი თურმე არიან. ამათვე უნდა იზრუნონ ადგილობრივის სამღვდელოების დახმარებით სოფლებში წიგნთ-საცავსამკითხველოების დაარსების შესახებაც, რადგანაც ხალხს მღვდლებისა და მასწავლებლების მეტი მახლობელი გულშემატკივარი სხვა არავინა ჰყავს...

ბ. ვაშაძე.

---

# უცხოეთი

**ინგლისი.** სამხრეთ-აფრიკასთან ომის შესახებ კიტჩენერისაგან მიღებულის დეპეშებით ინგლისის გაზეთებში სწერენ: რაზმის უფროსი ბინგი უეცრივ დაატყდა თავს ბურების რაზმს, რომელსაც სპანბერგი ჰსარდლობდა, და 42 ჯარის კაცი წაიყვანა ტყვედ. მეორე ბრძოლაში, ბალბორალის მახლობლად, რომელმაც მთელი დღე გასტანა, ბურებმა დაატყვევეს 52 ინგლისელი. ზულულანდის საზღვარზე ბურებმა იფრინეს და გაჰფანტეს ზულურების რაზმი, რომელსაც ინგლისელებმა მისცეს იარაღი და ბურების დასაზვერავად გამოგზავნეს. ეს არის უკანასკნელი ცნობები ომის შესახებ ტრანსვაალის ტერიტორიაზე. რაც შეეხება კაპის ახალშენს, აქ ბურები უფრო მაგრად არიან. უნიონდალიდამ იტყობინებიან, ერთი ინგლისელების რაზმი მოულოდნელად შეეფეთა ბურებს, რომლებიც პურს თურმე ჰმკიდნენ. როგორცა სჩანს, ბურები ერთსა და იმავე დროს იბრძვიან კიდეც და ხვნა-თესვასაც არ ივიწყებენ.

გუმანსტორპის მახლობლად, რომელიც ზღვის პირას იმყოფება, ბურებს ტელეგრაფი გაუფუჭებიათ. აშკარაა, ეხლა ბურები ზღვის ნაპირებზე მისულან და ზღვაზედაც თავისუფლად იმოქმედებენ. ინგლისს საქმე ძალიან გაუჭირდა და ამ დღეებში ალდერშოტიდამ უკანასკნელს ცხენოსანთა ჯარის დივიზიას ჰგზავნის სამხრეთ-აფრიკაში.

— ჟურნალის „National Review"-ის უკანასკნელს წიგნში მოთავსებულია ერთი წერილი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე. ეს წერილი, „ინგლისის საგარეო პოლიტიკის" სათაურით, როგორც ლონდონში ჰფიქრობენ, პარლამენტის დეპუტატებისაგან უნდა იყოს დაწერილი. საგანი ამ წერილისა ინგლისის და რუსეთის ურთიერთობაა. „მრეწველობის, მეურნეობის და ფინანსების ეხლანდელის მდგომარეობის გამო რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები თანახმანი იქმნებიან ინგლისთან მეგობრულის კავშირის შეკვრისა. ინგლისს ეხლა დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს რუსეთს; რუსეთის მოქმედებას შორეულს აღმოსავლეთში მოუსვენრობის ხასიათი აქვს, და ინგლისმა რომ ხელი არ შეუშალოს სპარსეთის ყურემდე რკინის გზის მიყვანას და ბალკანეთში ისტორიულის მისსიის აღსრულებას არ გადაეღობოს წინ, ეს საკმარისი იქნება მეგობრულის კავშირის შესაკვრელადაო". ამ წერილში შემდეგ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი, რა პირობებით შეიძლება რუსეთის და ინგლისის დამეგობრება ერთმანეთთან და იაპონიასთან. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, იმის მომასწავებელია, რომ ინგლისი ჰგრძნობს თავის უძლურებას და ამხანაგს ეძებს წინანდელის გავლენის აღსადგენად.

— სამსახურიდამ გადაყენებული გენერალი ბულლერი სცდილობს პალატის დეპუტატად ამოარჩევინოს თავი, რომ ოპპოზიციონელების დასს შეუერთდეს.

**შეერთებული შტატები.** ფილიპეს კუნძულების მეამბოხეთა ახალმა მოთავემ, მალვარმა, გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ დროებითმა ნაციონალურმა მმართველობამ მე დამნიშნა ფილიპეს კუნძულების მეომართა გენერალ კაპიტნად დ მე ჩემის მხრით ექვსს თანაშემწე ვნიშნავ, რომელთაც უნდა მოაწყონ მთელის არქიპელაგის დამოუკიდებლობის დამცველი ჯარიო. შემდეგ პროკლამაცია მოღალატეებათ აცხადებს იმ ფილიპელებს, რომლებიც ჩრდილოეთ-ამერიკის ჯარებს გზებს უჩვენებენ და უნიის კანონიერებას აღიარებენ. მალვარი იმ დრომდე კისრულობს მთავარ-სარდლობას და გამგებლობას, ვიდრე ერის წარმომადგენელთა კრება გაიხსნება.

**ოსმალეთი.** ოსმალეთის მთავრობა ძალიან შეაძრწუნა იმ გარემოებამ, რომ მუშის სომხებმა სთხოვეს რუსეთის ვიცე-კონსულს [illegible] ნებართვა აგვიღეთ მართლმადიდებლობის მისაღებადო. პორტას განკარგულება მოუხდენია, გამოძიებულ იქმნას მიზეზი ამ გარემოებისა და სომხების საჭიროებათა დაკმაყოფილებით უარი ათქმევინონ იმათ ამ განძრახვის აღსრულებაზედ.

— „Berl. Tag." სიტყვით, ოსმალეთი პეტერბურგში ოფიციალურის მისსიის გაგზავნას აპირობს მაკედონიის და სომხეთის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. მთავარი აზრი მისსიისა კი კრიტის საქმეების შესახებ მოლაპარაკება იქმნება.

**იტალია.** ჰოლლანდიაში დაწყობილს მოძრაობას ინგლისის გემების ბოიკოტის მოსაწყობად იტალიაშიაც გამოუჩნდა მოსარჩლეები. გენუიის მუშათა პალატას „Local-Anzeigeris" სიტყვით, დაუდგენია მიემხრონ ჰოლლანდიის მუშებს ნიშნად პროტესტისა ტრანსვაალის ომის წინააღმდეგ.

— „Post"-ის სიტყვით, მეფე ვიქტორ-ემმანუილმა თანხმობა გამოაცხადა სამედიატორო მოსარჩლეობაზე ინგლისისა და ბრაზილიის შორის საზღვრების გამო ატეხილის დავის გასარჩევად. მეფეს ეს წინადადება ინგლისმა და ბრაზილიამ მისცეს. ამ გარემოებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიელებზე, როგორც დამამტკიცებელმა საბუთმა კეთილის განწყობილებისა იტალიის და ბრაზილიის შორის.

**გერმანია.** პოლიტიკურს წრეებში ხმა დააგდეს, რომ კანცლერი ბიულოვი სამსახურიდამ გადისო. რამდენად გამართლდება ეს ხმა, ძნელი სათქმელია, მაგრამ იმპერატორი ვილჰელმი და ბიულოვი რომ ერთის თვალით არ უყურებენ საბაჟო პოლიტიკას, ეს ეჭვს გარეშეა. იმპერატორი ხელშეკრულებების მომხრეა და ბიულოვი კი ნამდვილი აგრარია.

---

…რობით იმ მამულების შერჩენა …ინც, რომელიც დღეს თუ ხვალ …ვა მამულებივით უცხოელების საკუთრებად გახდება.

დიდ-ძალი ხალხი გვყავს უმიწაწყლოდ რაჭაში, იმერეთში, გურიაში და სამეგრელოშიაც დარჩენილი. ეს უმიწა-წყლობა ბევრნაირს …ვ-კაცობას შეჰქმნის ჩვენში, ჩვენი მწერლობა მარტო კალმით-კი არა, საქმითაც უნდა შეუდგეს ამ უმამულო ხალხის სადმე დაბინავებას …მით ჩვენი მწერლობა დიდს სამსახურს გაუწევს ქართველობას და …თავრობასაც, რადგან უმიწაწყლობა და უმეცრება ერთად-ერთი მიზეზია ავაზაკობისა და სხვა ბოროტ-მოქმედებისა. უმიწა-წყლო ხალხი დიდის სიამოვნებით დასახლდება რომელისამე ჩვენის მემამულის ადგილში, თუ-კი გზის მაჩვენებელი გამოუჩნდება ვინმე და …ღავათიანს პირობებს დაუდებს. …ვენებიც დასახლდებიან იმ პირობებით, რომლითაც სხვები ასახლებენ ჩვენებისაგანვე შენაძენს მამულზედ. ოღონდ წინ გამძღოლი, შუამავალი იყოს, თორემ ჩვენშიც ბევრი გამოჩნდება მიწის მსყიდველი. …შირად შევხვედრივარ რაჭაში გლეხებს, რომელთაც კახეთში ზვარი …უმუშავებიათ, კარგი მოსავლის წყალობით ზოგს წელიწადში სახლში 1500 მ. მოუტანია, ზოგს 1000 მანეთი და ამ ფულით რაჭაში შენაძენი მამულიც უჩვენებიათ, მაგრამ კარგი იქნება, თუ წელიწადში ათი თხუთმეტი ფუთი სიმინდი მოუვიდათ ამ მამულზედ.

შარშან, სოხუმის ოლქში ყოფნის დროს, არა ერთი და ორი მამული გაიყიდა ჩემს თვალ წინ 1000—1500 მ. 30 დესეტინიდგან 60 დესეტინამდის, მამულები მდიდარი მინდვრითა და ტყით. დღეს თუ ხვალ იქაც მეტი ფასი დაედება მიწას. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ რაჭველები, თუ ვარგიან, რაჭაში მხოლოდ სტუმრად არიან, სამს წელიწადში ორს თვეს თუ რჩებიან სახლში, თორემ სულ სხვა ქვეყნებში ატარებენ დროს ფულის საშოვნელად. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება; სამუშაოს შოვნა სხვა-და-სხვა ძლიერ დამაფიქრებელ გარემოებათა გამო თან-და-თან საშინლად ძნელდება. თუ სულ გავირიყენით და უმიწა-წყლოთ დავრჩით, ძალა დაგვეკარგება, ნდობაც აღარ გვექნება, აღარავინ შეგვიბრალებს. შეიძლება შესაძლო იყვეს ყველას სიყვარული, გაურჩევლობა ეროვნებისა, წოდებისა, მაგრამ სანამდის ადამიანს დღევანდელი ხუთი გრძნობა ექმნება, რაც უნდა განვითარდნენ ეს გრძნობანი, ყველაზედ უფრო საყვარელი დედმამისათვის შვილები იქმნებიან, შვილებისათვის დედმამა და მერმე ისინი, ვინც მახლობელია, შემდეგ-კი შორეულნიც; უამისოდ კაცობრიობა გადაგვარდება. ამის გამო ყველა შეგნებულნი ერის წარმომადგენელნი თავდაპირველად ჯერ თავისს ერზედ ჰფიქრობენ, რადგან მასთან არიან შეკავშირებულნი ტერიტორიით, ზნე-ჩვეულებებით, ენით, რწმენითა და ისტორიული ტრადიციებით და თუ დრო, შეძლება და გარემოება ნებას მისცემთ, შემდეგ სხვებზედაცა ფიქრობენ. ის, ვინც თვისს მახლობელის მარგებელი არ არის, უცხოსაც არას არგებს. მესმის კოსმოპოლიტი მხოლოდ იმ აზრით, რომ თავისებში რიგიანი, პატიოსანი და სარგებლობის მომტანი იყოს და შემდეგ, თუ გარემოება მოითხოვს, სხვებშიაც ეს თვისებები გამოიჩინოს, უცხოსათვისაც ისე იზრუნოს, როგორც თავისთვის, თორემ: „შინ რომ ბავშვი გვიტიროდეს, გარეთ ტაბლას რაუნდაო," მართალია. ჩვენს ლიტერატურას-კი მარტო თავისს სიამოვნებისათვის დარჩენია წერა, რადგანაც ხალხი ძლიერ ნაკლებადა კითხულობს და არც სხვა რაიმე ორგანო გვაქვს, რომელსაც ხალხში სასარგებლო აზრი შემოჰქონდეს, აზრს საქმედ აქცევდეს.

ჩვენში მწერალი თვითონვეა მკითხველი, ხალხი ჯერ-ჯერობით სიბნელეშია, არავისაგან შველას არ მოელის, პირ იქით ინტელლიგენტის გულწრფელობას დიდის ეჭვით უყურებს. მკითხველიც რომ იყოს ხალხი, მისი გულის თქმა მისსავე გულში რჩება, თვისს საჭიროებას ვერავის აგებინებს, თავისის ჭრილობის მალამოს ვერსადა ჰხედავს, თუ მისი კეთილის მსურველი მისსავე გვერდით არ იქმნა. ვინ რას გვირჩევს, ვინ რასა,—არ ვიცით, ისე ჭრელია ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა. ვის ესაჭიროება გამოფხიზლება, სწავლა-განათლება ისე, როგორც ქართველს, ვის ესაჭიროება მიწა-წყალი, თუ არა ქართველს ხალხს, რომელიც უამისოდ ძნელი წარმოსადგენია, რადგანაც არც ვაჭრობაში და არც მრეწველობაში ჯერ-ჯერობით ფეხი ვერ შეუდგამს, ისევ მიწის მუშაა. მართალია, ერთს დროს შეუძლებელი ქართველისათვისაც არა იქნება-რა, მაგრამ ამას დრო უნდა და ამდროს განმავლობაში თან-და-თან თუ დაჰკარგა ის ნიადაგი, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი მტკიცე ნიადაგია ეროვნებისათვის, მაშინ საქმე ცუდად იქმნება: უმამულო ქართველი ვეღარც ვაჭარი შეიქნება, ვეღარც მრეწველი, ქართველობასაც სულ დაჰკარგავს. ეხლა სულ სხვა ხანაა, ხანა, როდესაც ძლიერი ხერხიანად ანადგურებს სუსტს, ხერხიანად უსპობს ყოველს სახსარს ცხოვრებისას. და ამ დროს ოცნებით თავის მოტყუება, რომ კაცობრიობის იდეალი სიმშვიდის, საყოველთაო ძმობის, თანასწორობის გამეფებააო, ეს მხოლოდ სასიამოვნო საგალობელია, რადგანაც ჯერ ვერსადა ვხედავთ ამის ნიშნებს და განა ცოტა უცხოვრია კაცობრიობას? ჯერ-ჯერობით ეს ოცნება მხოლოდ ენუქას ანდერძია, ჩვენი ცხოვრება-კი მძიმედ და მტკივნეულად განაგრძობს მიმდინარეობას, მაგრამ ამ მიმდინარეობაში არ არის არაფერი დამამშვიდებელი, საიმედო. საუკუნოებით მკვნესავი, იგი მტკივნეულობას შესჩვევია დღეს, უფრო მოდუნებულა და ამისთვის უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო, მეტი გულშემატკივრობა, მაგრამ სიტყვით-კი არა, საქმით!

ე. ვაშაკიძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Октября 1901 г. [illegible] № 117, 118.

**ავსტრო-უნგრეთი.** ავსტრიის პარლამენტში საცაა ქარიშხალი ამოვარდება. მლადოჩეხების დეპუტატმა კრამარშმა 17 ოქტომბერს მართალი და მედგარი სიტყვა წარმოსთქვა: პანგერმანელების მისწრაფება დაჰლუპავს ავსტრიას, მოსპობს, როგორც სახელმწიფოს და გერმანიის უმნიშვნელო ნაწილად გადააქცევსო. შეუძლებელია, ორი გერმანია იყოს ერთს ტერრიტორიაზე, ან ერთი ჩაჰყლაპავს, ან მეორე, და რა თქმა უნდა, ავსტრია გერმანიას ვერ ჩაჰყლაპავსო. პანგერმანელებს ამოქმედებს იდეა გერმანელების ერთტომობისა და ჩვენ, ჩეხები, ამის პირისპირ სახელმწიფოს არსებობის იდეას ვაყენებთო. კრამარშმა სთქვა, ძნელი დასამალია, რომ ავსტრიაში სახელმწიფო და საპარლამენტო კრიზისი დადგა. ჩვენ, ჩეხები, იმ დრომდე ვიქნებით მმართველობის წინააღმდეგნი, ვიდრე პანგერმანელებს არ აჰლაგმავენო.

---

## გ ა ქ ც რ ი თ

—

### „.....ალარ მინდიხარ, არა.....“

(ეტიუდი)

. . . . . ონოფრემ გვაბანაკი გაიხადა, მხრჩოლავ ლამპრით ოდნავ განათებულ ოთახს თვალი მიმოავლო და შემდეგ იქვე მდგომ წერწეწ-ტანიან და გიშრის თმიან ქალს დააშტერდა . .

. . . ქარი-კი ამ დროს გარეთ ხან ექვსი დღის უქმელ-უსმელ მგელივით ყმუოდა, ხან კიდევ დარდებით შეწუხებულ კატასავით ჩხაოდა...

—ოჰ!... ჩაიკვნესა ონოფრემ... ბედის წერავ... წადმართად მომართულო წუთი-სოფელო.... ამას მოველოდი შენგან?...

მაგიდას ხელი სტაცა და მერე წუმწუმას გაჰკრა... უცბად აპრიალებულ სინათლეზედ თვალი მოჰკრა წამწამ-დაშვებულ, უმანკოების შარავანდედით მოფენილ სახეს ქალისას... — ჰმ, უმანკოების შარავანდედი,—მწარედ ჩაიცინა გულში ონოფრემ,—დიაღ, გარეგანის შეხედულობით უმანკოებაა... მაგრამ შიგნით... შიგნით...

...წუ -უ-.უ... ჩაიკვნესა ამ დროს გარეთ უპატრონოდ მოხეტიალე ქარმა და ეს წუწუნი ონოფრეს ბასრი ლახვარ-ივით გულში მოჰხვდა. . უეცრად გამოერკვა... მოაგონდა, რომ იმის წინ ქალი იდგა ... იმისი სატრფიელო ღვთაებრივი არსება... ცოდვის მოსანანიებლად ეხლა ონოფრესთან მოსული... მოაგონდა, რომ ეს ქალი ზეციდგან ჩამოსულ ანგელოზად... უმანკოების ბუდედ მიაჩნდა..., ეხლა, ეხლა,...

—ხა... ხა... ხა... ხა... ხა..., მწარედ ჩაიცინა ონოფრემ...

...ხი... ხი... ხი..., მისცა გარედგან ბანი ამ ჟამად აბობოქრებულმა, ჩვეულებრივ-კი ნაზმა ქარმა.

— ვერა, ხვარამზევ, ვერა... მე ეხლა შენ ვეღარ გიყურებ... ჩვენ შორის შეიდ-რვა საჟენიანი უფსკრული გაჩნდა... ჩვენ ცავშორდით და ისე ძლიერ, რომ ვერასოდეს ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს...

სთქვა ესა, გვაბანაკი ხელ-ახლა მხრებზე მოიგდო, კარები მძლავრად გამოაღო და გარეთ გამოვარდა.

ქარი ჩავარდნილიყო... მოლაჟვარდებულ ცაზედ ჩარიგებული ვარსკლავები ლამაზ და კოხტა გომურის ჰრაქებივითა ბჟუტავდნენ.., ჩამი-ჩუმი არსაიდგან არ მოისმოდა..., დედა-მიწა და ცა, ხე და მცენარე, ქალი, კაცი, ვირი და გოჭი ღრმა ძილს მისცემოდნენ...

აჩქარებულის ნაბიჯით ონოფრე უგზო-უკვლოდ გაუდგა მინდვრებს... „ბოროტებით, მოტყუებით და ფლიდობითაა სავსე ეს ქვეყანა, ჰფიქრობდა გულში, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემ მიერ ღვთაებრივ არსებად, მშვენიერებად მიჩნეული ხვარამზე ასეთი სულ მდაბალი ადამიანი გამოდგებოდა...“

უფრო მოუჩქარა ონოფრემ ნაბიჯს, გადაიარა ტყენი, ღრენი, კლდენი და მთები და შინ მხოლოდ გათენებისას დაბრუნდა...

ოთახში შესვლისას ბარათს მოჰკრა თვალი. აი რა ეწერა ამ ბარათში: „ოდესღაც ჩემო ონოფრევ! ვიცი ახლო აღარ მიმიკარებ, სამუდამოდ მომიძულებ და ზედაც აღარ შემომხედავ. მაშ სჯობია გამოგიტყდე და ყველაფერი პირდაპირ გითხრა... დიაღ, გატყუებდი, სიტყვით ერთს გეუბნებოდი, საქმით-კი სხვას ვჩადიოდი... რას იზამ, ასეთია ქალის ბუნება!.. ქალს ერთსა და იმავე დროს ცაიეტის კაცის შეყვარება შეუძლიან... ქალმა თუ ტყუილი არა სთქვა, ერთს წუთსაც ვერ გასძლებს. ჩვენი იდეალი, სამშობლო, განათლება, ერთის სიტყვით ყველაფერი—ჩვენი გულია. მეც ქალი ვარ, ამიტომ გატყუებდი და გღალატობდი“...

....ოხ!.. აღმოხდა გულიდგან ონოფრეს და იქვე ჩარჩოში ხვარამზეს სურათს მოჰკრა თვალი. დაავლო ხელი ამ ჩარჩოიან სურათს, მიწაზედ დაანარცხა და წამოიძახა:

— აღარ მინდიხარ, არა!...

შაღრისპირელი.

---

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

26 ოქტომბერი.

**ხარკოვი.** სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველთა მე-26 კრებაზედ მოსამზადებელ კომისსიების თავმჯდომარეებად ამოირჩიეს სამთო ინჟენერები ავდაკოვი, შიმანოვსკი, ტასკინი, ზიმოვსკი, ფერშნერი, დიტმარი და პოდგეცკი და გზათა ინჟენერები გევსკი და ფილონენკო. კრებაზედ პროექტი იქმნა წარმოდგენილი იმის შესახებ, რომ დონცი გასწმინდონ. კრების საპატიო წევრის ალჩევსკის ხსოვნას ფეხზედ წამოდგომით პატივი ჰსცეს.

**ცარიცინი.** ცარიცინში ელექტრონის ტრამვაისა, განათებისა და თვით მატარებლების გამართვაზედ ბელგიის სააქციონერო საზოგადოებას უარი უთქვამს. ამ რიგად 25000 მ ბე ქალაქს დარჩება საკუთრებად.

**სარატოვი.** სიფხიზლის კომიტეტს დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ ქუჩებსა და მოედანებზედ არყის სმა აღკრძალულ იქმნეს.

**ნოვოჩერკასსკი.** სამის თვის გვალვის შემდეგ დღეს წვიმა მოვიდა.

**კონსტანტინოპოლი.** საფრანგეთის საელჩოს სამსჯავროს წევრის ბაპსტისაგან ბოლონდელ დეპეშის მიღების შემდეგ, რომელშიაც საფრანგეთის მოთხოვნილებანი იყვნენ ჩამოთვლილნი, პორტამ რუსეთის საელჩოს მიჰმართა და მხრის დაჭერა სთხოვა; საელჩომ ის პასუხი მისცა, რომ აუცილებლივ საჭიროა საფრანგეთის ყველა მოთხოვნილებანი იქმნენ დაკმაყოფილებულნი.

**ლონდონი.** როგორც „Daily Nevs“ იუწყება, ცნობილი მისს ჰობგოუზი, რომელმაც გამოაქვეყნა ბურების ბანაკებში საშინლად არის სიკვდილი გავრცელებულიო, სამხრეთს აფრიკაში დაუპატიმრებიათ.

**შანხაი.** როგორც ბოლონდელი ცნობები იუწყებიან, საიმპერატორო სახლობას განზრახვა თურმე აქვს 20 დღე კაიფუნში დაჰყოს, ქვრივის იმპერატრიცის დაბადების დღე იდღესასწაულოს და შემდეგ პეკინს წავიდნენ.

**პარიჟი.** გერმანიის ელჩმა მილიერანს თავისის ხელმწიფის მადლობა და თავაზა გადასცა იმ ძვირფასის საჩუქრისათვის, რომელიც მილიერანმა გაუგზავნა იმპერატორს პარიჟის მსოფლიო გამოფენაში პირადი მონაწილეობის მიღებისა და თავისს საკუთარ სამხატვრო ნაწარმოებთა გაგზავნისათვის. მილიერანმა იმპერატორის მხრივ ყურადღებისა გამო თავისი გულითადი სიხარული გამოსთქვა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება: „პორტამ გვაცნობა, რომ მზადაა ყოველი ჩვენი მოთხოვნილება შეასრულოს. დელკასსემ უპასუხა, რომ, როგორც-კი ცნობას მივიღებ სულთანის მხრივ ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტილებისას, საფრანგეთის საზღვაო დივიზია მაშინვე მიტილენიდგან წამოვაო.“

**პეკინი.** აქედგან გაგზავნილი „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშა, ვითომ მანჯურიის შესახებ განსვენებულს ლიხუნჩანგსა და რუსეთის ელჩს შორის მოლაპარაკება დაწყებულიყოს, საქმის ვითარებას ნამდვილად არ გადმოგვცემს. როგორც აქ შეკრებილი ცნობებიდგანა სჩანს, მანჯურიის საქმის თაობაზედ ჩინელებთან რუსეთს არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია თებერვალს აქეთ, რაც რუსეთის მთავრობამ მოლაპარაკება შესწყვიტაო. თუ რომ ეხლა მანჯურიის შესახებ ხელ-ახლად ლაპარაკი ჩამოვარდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ჩინელებმა დაიწყეს ლაპარაკი და ამის შესახებ ლესსერს არავითარი ძალის ცატანება არ დასჭირებიაო.

**პეკინი.** ლიხუნგჩანგის სიკვდილის შემდეგვე ქაღალდის მწვანე ბალდახინი დასდგეს, რომელშიაც 8 შავი ცხენი იყო შებმული და დასწვეს, რომ განსვენებულის სული ცეცხლის ალთან ერთად პირდაპირ ცად აღვლენილიყო. გუშინ დილით გვამი კუბოში ჩაასვენეს, სადღესასწაულო თაყვანისცემა გვამისა კვირას მოხდება. ელჩებს ამისათვის განსაკუთრებულს დღეს დაუნიშნავენ. განსვენებულს სამშობლო სოფელში დაჰკრძალავენ. განსვენებული უთუოდ მარკიზის ხარისხს მიიღებს, რომელიც მისს უფროსს შვილს გარდაეცემა.

**ბუდაპეშტი.** კოლომან ტისსე ძალიან ცუდად შეიქმნა.

**ვენა.** „Wienertageblatt“-ისა და „Neues Weinertageblatt-ის სიტყვით იმპერატორს მეფისძის გიორგისათვის მილოცვა გაუგზავნია იმ წესიერებისა გამო, რომელიც დღეს კრიტის კუნძულზედ ჰსუფევს.

**ლონდონი.** „Times“-მა გამოაქვეყნა გარკოლის წერილი, რომელშიაც ომის შესახებ მთავრობის პოლიტიკა გაკიცხულია, განსაკუთრებით კი ამ ბოლოს დროისა, და შეჰნიშნავს, რომ ბურების განდევნა და მათის ქონების კონფისკაცია კონსტიტუციის საწინააღმდეგო, დამღუპველი ფაქტებია, რომლებსაც ვერც სამხედრო და ვერც სამოქალაქო უფლება ვერ გაამართლებსო.

**პარიჟი.** როგორც კონსტანტინოპოლიდგან მიღებულ ნამდვილ ცნობებიდგანა სჩანს, სულთანი თანახმა თურმეა ყველაფერი დაუთმოს და წარუდგინოს წინადადებანი, რომელნიც საფრანგეთის ყველა მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებენ.

**მიუნხენი.** გუშინ, საღამოთი, როდესაც პრინცი ლუდოვიკო-ფრიდრიხ ბავარელი ნიმფეხ-ბურგის ციხე-დარბაზში დაბრუნდა, ეტლი ხეივანის ერთს ხეს დაეჯახა და გადაბრუნდა; პრინცი გადავარდა და ბეჭი ჩაატყდა. პრინცს დღეს არა უშავს-რა.

---

27 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის დამთავრებისა გამო ფინანსთა მინისტრს სტატს-სეკრეტარს ვიტტეს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „გულ-წრფელად გმადლობთ სასიხარულო ამბისათვის. გილოცავთ, რომ მოახერხეთ და ერთი უდიდეს რკინის გზათაგანი ასე მალე დაამთავრეთ ამდენს გაჭირვებაში. ნიკოლოოზი.“

ფინანსთა მინისტრის დეპეშა შემდეგის შინაარსისა იყო: „19 მაისს 1891 წ თქვენმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ვლადივასტოკში საკუთარის ხელით ჩაჰყარა საძირკველი ციმბირის დიდი რკინის გზისა. დღეს, თქვენის უდიდებულესობის ტახტზედ ასვლის სადღესასწაულო დღეს, შეერთდა ორ-პირად დანიშნული აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ლიანდაგი. ლიანდაგი გაყვანილია 24000 ვერსის მანძილზედ, ზაბაიკალიდგან ვლადივოსტოკამდე და არტურამდე, თუმცა, მართალია, ჯერ მხოლოდ სავსებით არა, სულ ოთხის წლის შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო, მიუხედავად ამისა, რომ დამაბრკოლებელი მიზეზი ბევრი იყო და დაგვიქციეს კიდევაც შარშან. დღევანდელი დღიდგან დროებითი მიმოსვლა დაწყებილია; იმედია, ორის წლის განმავლობაში ყველა სამუშაო გათავებული იქმნება და პირდაპირი სწორი მისვლა დაიწყება.“

შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისსია აცხადებს: „რადგანაც ბათუმში აღმოჩენილი ორი საჭირო ავადმყოფობა ადგილობრივ საკმაოდ ვერ გამოირკვა, ამისთვის ბათუმში გამოგზავნილი იქმნა კიევის უნივერსიტეტის პროფესსორი ვისოკოვიჩი. მთავარმართებელმა 26 ოქტომბერს დეპეშით გვაუწყა, რომ პირველი მსხვერპლი ავადმყოფობისა ჯერ კიდევ არ გამორკვეულა, რადგანაც გვამი უკვე გახრწნილი იყო, მეორე-კი ლიმფატიურ ჯირკვლების უბრალო დაჩირქება აღმოაჩნდა. რადგანაც აგერ მას შემდეგ 12 დღეა აღარავითარი საეჭვო ავადმყოფობა არ აღმოჩენილა, ამიტომ კომისსიამ გარდასწყვიტა გააუქმოს ყველა სასანიტარო საშუალებანი, რომლებიც დროებით იქმნენ მოდებულნი.

**პარიჟი.** გაზ. „Matin“ აუწყებს ლონდონიდგან, რომ პორტას თხოვნაზედ ინგლისის კაბინეტს უარი განუცხადებია საფრანგეთთან ატეხილს დავაში ვერ ჩავერევი, მაგრამ, თუ საფრანგეთი ცოტა შორს გაიწვდის ხელს და მოისურვებს ადგილების დაჭერასა, მაშინ ინგლისი მზად არის საფრანგეთის საქმეში ოსმალეთს სამსახური გაუწიოს.

**კონსტანტინოპოლი.** როდესაც ილდიზ-კიოსკში ამბავი მოვიდა, რომ საფრანგეთის ესკადრა უკან დაბრუნების მაგივრად მიტალეში მივიდაო, ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმ სკოლებისა და დაწესებულებათა რიცხვი, რომლების მიღებასაც საფრანგეთი თხოულობს, ექვსასამდეა. გამოქვეყნებულია ბრძანება, რომელითაც იმმანუელ თომა ქალდეველთა პატრიარქად არის გამოცხადებული.

**პარიჟი.** აქაურს საპოლიტიკო წრეებში სარწმუნოდ ლაპარაკობენ, რომ საფრანგეთის ესკადრა მაშინვე წავა ოსმალეთის წყლებიდგან, როგორც-კი ბრძანება იქმნება გამოცემული, მაგრამ მახლობლად სადმე იდგება იმ დრომდის, ვიდრე ოსმალეთი თავისს პირობას არ შეასრულებს.

**ლონდონი.** კორნკალიის გერცოგმა უელსის პრინცისა და ჩესტერის გრაფის ტიტული მიიღო.

**პეკინი.** ბრძანება მოვიდა აქ, რომ პეჩილის გუბერნატორი იუანშიკაი და წევრი კაბინეტისა ვანვენ-შაო, რომელიც ლიხუნ-ჩანგის მოადგილეთ არის დანიშნული, მოლაპარაკების საქმეში რწმუნებულად იქმნებიან. ლიხუნ ჩანგმა მარკიზის ტიტული მიიღო ლი ვენ-ჩუნის სახელით.

---

**ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:**

—

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დილის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ,) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.